Economic Crime Division / Directorate of Cooperation
Directorate General of Human Rights and Legal Affairs

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

# საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიის მხარდაჭერა

## (GEPAC)

## – პროექტის არსი –

2007 წლის 1 სექტემბრის ვერსია

ევროსაბჭოს პროექტი №. 2007/DG1/VC/779

| | |
|---|---|
| პროექტის სახელწოდება | **საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიის მხარდაჭერა (GEPAC)** |
| პროექტის განხორციელების არეალი | **საქართველო** |
| ბიუჯეტი | 700.000 **ევრო** |
| დაფინანსება | **ნიდერლანდები (თანამშრომლობის განვითარების სამინისტრო)** |
| განხორციელება | **ევროსაბჭო (ეკონომიკური დანაშაულის განყოფილება/თანამშრომლობის დირექტორატი/ DG-HL)** |
| ხანგრძლივობა | **24 თვე (სექტემბერი 2007 – აგვისტო 2009)** |

ქართველი ხალხისთვის კორუფცია წარმოადგენს საზოგადოებაში არსებულ ერთერთ უმთავრეს პრობლემას. 2006 წლის 22 აგვისტოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფმა (GRECO) გამოაქვეყნა საბოლოო შესრულების შეფასებითი ანგარიში საქართველოზე, თუ როგორ შეასრულა საქართველომ 2001 წლის ივნისში მიღებული რეკომენდაციები.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიუხედავად პირველი შეფასებითი ანგარიშის შემდეგ დასაწყისში რეკომენდაციების განხორციელების ნელი ტემპებისა, შესამჩნევი პროგრესია ბოლო პერიოდში, რამაც საშუალება მისცა GRECO-ს ოფიციალურად გაეუქმებინა შეუსაბამობის (რეკომენდაციათა შეუსრულებლობის) პროცედურა. მიუხედავად ამისა, GRECO ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას გააგრძელოს აქტიური ანტიკორუფციული ღონისძიებები და რაც ყველაზე მთავარია, განახორციელოს ანტიკორუფციული სტრატეგია და შესაბამისი ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა. 31-ე პლენარული შეხვედრის შემდეგ, 2006 წლის 4-8 დეკემბერს, GRECO-მ მიიღო მეორე რაუნდის შეფასებითი ანგარიში საქართველოსთვის, რომელიც საჯარო გახდა 2007 წლის იანვარში.

2005 წლის იანვარში საქართველოს მთავრობა შეუდგა ახალ ანტიკორუფციულ სტრატეგიაზე მუშაობას და დახმარებისთვის მიმართა ევროსაბჭოს. მხარდაჭერა განხორციელდა ევროსაბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი პროგრამით. "საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგია (2005-2006)" მომზადდა ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ 2005 წლის მაისი/ივნისში და მიღებულ იქნა 2005 წლის 24 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის №550 ბრძანებულებით.

ანტიკორუფციული სტრატეგიის (2005-2006) სამოქმედო გეგმა შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით, რომელიც მიღებულ იქნა 2005 წლის 12 სექტემბერს საქართველოს მთავრობის 377-ე დადგენილებით და 2006 წლის 28 მარტს დამტკიცდა პრეზიდენტის №155 ბრძანებულებით. სახელმწიფო მინისტრი რეფორმების კოორდინაციის საკითხებში უფლებამოსილია აკონტროლოს სამოქმედო გეგმის განხორციელება.

დღესდღეობით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს მთავრობის დღის წესრიგში წამყვანი თემაა. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შედგენის შედეგად გაზრდილი

ენთუზიაზმის შენარჩუნებისთვის საჭირო გახდა ტექნიკური თანამშრომლობის პროექტი, რომლის ფარგლებში მოხდებოდა აღნიშნული გეგმის აუცილებელი ექსპერტიზა და 2007 და 2008 წელს მისი რეალური განხორციელების ხელშეწყობა.

ამგვარად, ტექნიკური დახმარების პროექტი, რომელიც დააჩქარებს ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებას, ხელს შეუწობს რეფორმების გატარებასა და მხარდაჭერას, ასევე იმოქმედებს:

- სტრატეგიულ დონეზე და
- ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის კონკრეტული ქმედებების დონეზე

## მიზანი, შედეგი და ღონისძიებები

| | |
|---|---|
| **საერთო მიზანი** | საქართველოში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განვითარება კორუფციის პრევენციისა და კონტროლის გზით ევროპულ და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე GRECO-ს რეკომენდაციებთან შესაბამისობაში |
| **პროექტის მიზანი** | საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მხარდაჭერა |
| ***შედეგი 1*** | **რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის (და პარტნიორ ინსტიტუტებში საკონტაქტო პირების (სამუშაო ჯგუფი) მართვის, კოორდინირების და მონიტორინგის შესაძლებლობები განახორციელოს ანტი-კორუფციული გეგმა, გაძლიერებულია.** |
| **ღონისძიება 1.1** | საწყისი ეტაპი (2 თვე) : ყველა პარტნიორ უწყებასთან ერთად ღონისძიებების სამუშაო გეგმის დასრულება, კადრების და გრძელვადიანი მრჩევლების შერჩევის პროცესის წარმართვა (დანიშვნა, ინტერვიუ და ხელშეკრულების დადება) |
| **ღონისძიება 1.2** | კონფერენციის ორგანიზება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით (თბილისი) |
| **ღონისძიება 1.3** | რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შესაბამისი აღჭურვა ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით |
| **ღონისძიება 1.4** | რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის და საკონტაქტო პირების (სამუშაო ჯგუფი) კონსულტირება და ტრენინგი პრაქტიკულ საკითხებზე |
| **ღონისძიება 1.5** | არანაკლებ 2 სასწავლო ვიზიტის ორგანიზება რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის |
| ***შედეგი 2*** | **ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხილულია.** |
| **ღონისძიება 2.1** | რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის დახმარება და კონსულტირება ანტი-კორუფციული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემდგომ შემუშავებასა და განახლებაში GRECO-ს რეკომენდაციებთან და სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით |
| **ღონისძიება 2.2** | კორუფციის აღქმის და დამოკიდებულების 2 შემსწავლელი კვლევის ორგანიზება კორუფციის დონეებზე |
| **ღონისძიება 2.3** | ნაციონალური კონფერენციის ორგანიზება განახლებული ანტი-კორუფციული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმოხილვისა და მონიტორინგის მიზნით |
| ***შედეგი 3*** | **მომზადებულია არანაკლებ 6 საკანონმდებლო ცვლილება და რეგულირება რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და შესაბამის პარტნიორ უწყებებთან (სამუშაო ჯგუფი) თანამშრომლობით.** |
| **ღონისძიება 3.1** | ანტიკორუფციული საერთაშორისო სამართლებრივი, მათ შორის კორუფციის კრიმინალიზაციასთან დაკავშირებული აქტების მიღებისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება |

| | |
|---|---|
| **ღონისძიება 3.2** | პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების სისტემის რეფორმის შესახებ ცვლილებების/განხორციელების მექანიზმის შემუშავების ხელშეწყობა |
| **ღონისძიება 3.3** | ახლადმიღებული ანტიკორუფციული კანონმდებლობის შესახებ ტრენინგის ჩატარება |
| ***შედეგი 4*** | **პროკურატურის უფლებამოსილება, გამოიძიოს და განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა მაღალი დონის კორუფციის შემთხვევებში, გაძლიერებულია.** |
| **ღონისძიება 4.1** | ქვეყნის შიგნით 2 ტრენინგის მოწყობა იმ უწყებების თანამშრომლებისთვის, რომლებიც ახორციელებენ მაღალი დონის კორუფციის ფაქტების გამოძიებას და სისხლის სამართლებრივ დევნას (კვლევა, პრო-აქტიული და მულტიდისციპლინარული მიდგომა) |
| **ღონისძიება 4.2** | ქვეყნის შიგნით 1 ტრეინინგის გამართვა იმ უწყებების თანამშრომლებისთვის, რომლებიც ახორციელებენ მაღალი დონის კორუფციის ფაქტების გამოძიებას და სისხლის სამართლებრივ დევნას. |
| **ღონისძიება 4.3** | 2 სასწავლო ვიზიტი 6 პროკურორისთვის და 6 პოლიციელისთვის სპეციალური სამსახურებიდან |
| **ღონისძიება 4.4** | საერთაშორისო კონფერენცია მაღალი დონის კორუფციის გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხებზე (თბილისი) |
| ***შედეგი 5*** | **კორუფციის პრევენციის ინსტიტუციური შესაძლებლობა და ერთობა გაძლიერებულია (გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საპილოტე პროგრამა)** |
| **ღონისძიება 5.1** | პროკურატურის შიდა კორუფციის პრევენციის გეგმების შემუშავებასა და გავრცელებაში დახმარება: კონტროლი, საკადრო პოლიტიკა, დაწინაურება, როტაცია, ინტერესთა კონფლიქტი |

აღნიშნული სფეროს სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით, პროექტი შეეცდება მოიცვას რეგიონალური ინტერაქციის ძლიერი ელემენტი, ასევე ანტიკორუფციულ ინსტიტუტებს შორის ქსელის შექმნას და გამოცდილების გაცვლის შესაძლებლობის გაადვილებას..

## პარტნიორები/ბენეფიციარები

პროექტში მთავარი პარტნიორი საქართველოს მხრიდან იქნება რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომელიც შეასრულებს  მთავარ როლს ანტიკორუფციულ ღონისძიებებში. პროექტის ბენფიციარები ასევე იქნებიან :

- გენერალური პროკურორის ოფისი (შედეგი 4 და 5)
- შინაგან საქმეთა სამინისტრო (შედეგი 4 და 5)

პროექტი იმოქმედებს ნაციონალურ დონეზე ქვეყნის პარტნიორ ინსტიტუტთან (სამუშაო ჯგუფი) და ბენეფიციარებთან თანამშრომლობით, ხოლო საერთაშორისო დონეზე - საერთაშორისო პარტნიორობის გაზრდის, ქსელის შექმნისა და ინფორმაციის გაცვლის გზით.

## განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებები

პროექტის განხორციელებისთვის დაინიშნებიან მოკლე და გრძელვადიანი ექსპერტები (ადგილობრივი და საერთაშორისო).

თბილისში შეირჩევა სამი ექსპერტი ხანგრძლივი ვადით (ერთ-ერთი დაინიშნება უფროს ექსპერტად) პროექტის განხორციელების სამმართველოს (PIU) წევრების სტატუსით, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების

ძირითადი ნაწილის ყოველდღიურ განხორციელებაზე. ადგილობრივი ექსპერტები (დამოუკიდებელი კონსულტანტები) აღმოუჩენენ პირდაპირ ტექნიკურ დახმარებასა და მხარდაჭერას რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, ხოლო სამუშაო ჯგუფს დაეხმარებიან ანალიტიკური სამუშაოს განხორცილებაში და გაუწევენ კონსულტაციებს.

მათ დაეხმარება 1 პროექტის ადგილობრივი ოფიცერი, რომელიც შეითავსებს ადმინისტრირებისა და მდივან/თარჯიმნის ფუნქციებს. ადგილობრივი ექსპერტები და პროექტის ადგილობრივი ოფიცერი აღმოუჩენენ პირდაპირ ტექნიკურ რჩევებს და მხარდაჭერას რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, ხოლო ანალიტიკური სამუშაოს და კონსულტაციებით დაეხმარებიან სამუშაო ჯგუფს. ადგილობრივი ექსპერტები და პროექტის ადგილობრივი ოფიცერი დაფუძნდებიან პროექტის ოფისში (რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შენობაში) და არ მოხდება რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში მათი დანიშვნა ან შტატის წევრად/საჯარო მოხელედ მათი მოაზრება.

მთელი პროექტის ადმინსტრაციულ მართვას უზრუნველყოფს ეკონომიკური დანაშაულის განყოფილება Corruption and Fraud Unit/Economic Crime Division, Directorate of Cooperation, DG-HL ევროსაბჭოში, სტრასბურგში. პროექტის ოფიცრის ((PO) მოვალეობაში შევა პროექტის განხორციელების პროცესის და ყოველდღიური საქმიანობებისთვის მონიტორინგი და თბილისის გუნდის დახმარება.

მოკლევადიანი და ხანგრძლივი ვადით დანიშნულ საერთაშორისო კონსულტანტებს /ექსპერტებს, მათ შორის ხანგრძლივი ვადით შერჩეულ ადგილობრივ ექსპერტებს, რომლებიც განახორციელებენ პროექტის ღონისძიებებს, პროექტის გუნდი შესთავაზებს დეტალიზებულ სამუშაო გეგმას.

ევროსაბჭო უზრუნველყოფს ადგილობრივი მაღალკვალიფიციური კადრების აქტიურ მონაწილეობას, როცა შესაძლებელია და ევროპელი და ადგილობრივი ექსპერტების გამოცდილების შერწყმას პროექტის ღონისძიებებში. ყველა ადგილობრივი ექსპერტი უნდა იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი ინტერესთა კონფლიქტისგან.

## საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ მიმართოთ:

Economic Crime Division
Directorate of Cooperation - DG-HL
Council of Europe
F-67075 Strasbourg Cedex FRANCE
Tel +33 3 8841 2354 Fax +33 3 8841 3955 Email: ardita.abdiu@coe.int and/ or tanya.peshovska@coe.int